ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1585118

ნომერი: AR1260555

თარიღი : 24.10.2014

გაცემის თარიღი : 10.11.2014

გაცნობის თარიღი : 18.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ჩანტლაძე პ/ნ 01008019357
- თბილისი ი.აბაშიძის ქ.#14, მე-3 სადარბაზო, მე-7 სართული, ბინა 54ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.10.2014 წ. #1521163 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 24.10.2014 წ. #AR1260555 განცხადებით მომართა ბექა ჩანტლაძემ და მოითხოვა 13.10.2014 წ. #1521163 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 13.10.2014 წ. #01.14.02.009.012

(ფართობი: 1954 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა #1521163 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6). განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.02.009.016, ფართობი-2042 კვ.მ.), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.10.2014 წ. #1521163 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.02.009.016, ფართობი-2042 კვ.მ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.10.2014 წ. #1521163 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-2042 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.14.02.009.016;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.10.2014 წ. #1521163 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს ჩანაწერი: გათვალისწინებული იქნას ამონაწერში საჯარო რეესტრიდან დაფიქსირებული ვალდებულება თუ ის ზღუდავს მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.10.2014 წ. #1521163 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.